


ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები

ნაწილი 4: აქტივების გადაცემა



ერთ-ერთი ძირითადი გზა, რომლის მეშვეობითაც სისხლის სამართლის დამნაშავეები ახორციელებენ დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის ლეგიტიმურ ეკონომიკაში ინტეგრირებას, არის აქტივების, კერძოდ უძრავი ქონებისა და სხვა ძვირად ღირებული აქტივების გადაცემა. სამეურნეო სუბიექტის ურთიერთობა მომხმარებელთან შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ აქტივის გადაცემით და ხანმოკლე პროცესი იყოს. ეს კიდეც უფრო ზრდის ბუღალტრების მიერ რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენების მნიშვნელობას, რათა ისინი უნებლიედ არ აღმოჩნდნენ უკანონო საქმიანობაში ჩართულნი.

როგორ იყენებენ დამნაშავეები აქტივების გადაცემას?

დამნაშავეები ხშირად მიმართავენ ფულადი სახსრების ადგილმონაცვლობას ადამიანებს ან იურისდიქციებს შორის, ძვირად ღირებული აქტივების ყიდვით, გაყიდვით ან გადაადგილებით. ზოგჯერ ისინი საკუთარი უკანონო შემოსავლების დამალვას ცდილობენ ერთმანეთთან დაკავშირებული ოპერაციების/გარიგებების მეშვეობით, სადაც ერთი აქტივის ყიდვა და მეორის გაყიდვა სწრაფი მიმდევრობით წარმოებს (მაგ., ბინის გაყიდვა და კატარის ყიდვა). ამგვარი ქმედებით შესაძლებელია ფულადი სახსრების წყაროს შენიღბვა და იმ ადამიანებისგან სინამდვილის დამალვა, რომლებიც მხოლოდ ერთ-ერთ ოპერაციას ხედავენ. იმის მიუხედავად, როგორ არის ორგანიზებული/სტრუქტურირებული ოპერაცია (ოპერაციები) (ან ოპერაციების სერია), ან რომელ აქტივთან გვაქვს საქმე, ყველა შემთხვევაში საბოლოო მიზანი დანაშაულებრივ საქმიანობასთან კავშირის დაფარვაში მდგომარეობს. პროფესიონალმა ბუღალტრებმა შეიძლება შემთხვევით ან დაუდევრობის გამო გაუზარებლად აღმოუჩინონ დამნაშავეს დახმარება დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული შემოსავლების დამალვაში, აქტივის გადაცემის გარიგების ორგანიზებით ან გარიგებებთან დაკავშირებულ საგადასახადო საკითხებში კონსულტაციის გაწევით.

როგორ გამოვიყენოთ „რისკზე დაფუძნებული მიდგომა“?

აქტივის ყიდვასთან ან გაყიდვასთან დაკავშირებით დამკვეთისთვის რჩევის მიცემისას პროფესიონალმა ბუღალტრმა პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს:

- იცით ვინ არის აქტივის ბენეფიციარი მფლობელი? ის იგივე პირია, ვის სახელზეც არის აქტივი გაფორმებული თუ სხვა?
- იცით ვინ გახდება აქტივის ბენეფიციარი მფლობელი გარიგების შემდეგ? ის იგივე პირი იქნება, ვის სახელზეც გაფორმდება აქტივი თუ სხვა?
- რა არის მყიდველის ქონების წყარო ან აქტივის შესაძენად მოხილზებული სახსრების წყარო? რამდენად დამაჯერებლად გეჩვენებათ პასუხი იმ ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც გაქვთ მყიდველის შესახებ?
- დამაჯერებელია აქტივის გადაცემის დასაბუთება? კომერციული გარიგების შემთხვევაში, აქვს გარიგებას კომერციული აზრი? საქველმოქმედო გარიგების შემთხვევაში, დამაჯერებლად გეჩვენებათ გარიგება საქველმოქმედო მიზნებისთვის?
- ეს ოპერაცია ურთიერთდაკავშირებული ოპერაციების სერიის ნაწილია, რომლებზეც სხვა პროფესიონალები მუშაობენ?
- ოპერაცია ითვალისწინებს აქტივის გადაცემას ისეთ ქვეყანაში ან ისეთი ქვეყნიდან, რომელიც ფულის გათეთრების მაღალი რისკის მქონედ მიიჩნევა? _ ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფი (FAFT) აქვეყნებს ასეთი ქვეყნების სტაქს.

გაცილებით მასშტაბური დიუ დილიჯენსის ჩატარება დაგჭირდებათ დამკვეთთან მიმართებით, თუ ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხები მიუთითებს ფულის გათეთრების მაღალი რისკის არსებობაზე. როგორც ყოველთვის, ბუღალტრებმა გონივრული და რაციონალური მიდგომა უნდა გამოიყენონ რისკების შეფასების სამუშაო დოკუმენტებში ასახვისთვის.

მაგალითი აქტივების გადაცემის შესახებ*

ცენტრალური აზიის ერთ-ერთი ქვეყნის მაღალჩინოსანმა შოპრათ ალპერენმა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურის ხელშეკრულება, 2 მლრდ. აშშ დოლარის მოცულობის, გადასცა ქვეყნის ერთ-ერთ მსხვილ მენარდე კომპანიას. ამ ფაქტთან თვალსაჩინო კავშირის არმქონე მოვლენას აქვს ადგილი გაერთიანებულ სამეფოში: ერთ-ერთი უცხოური მენარდე კომპანიის შვილობილი კომპანია, რომელიც დაფუძნებულია გაერთიანებულ სამეფოში, ქირაობს ბრიტანელ იურისტს და ბუღალტერს კონსულტაციის მისაღებად ლონდონის ცენტრალურ ნაწილში 5 მლნ. ფუნტის ღირებულების ბინის შეძენასთან დაკავშირებით. პროფესიონალ კონსულტანტებს ეუბნებიან, რომ ეს ბინა განკუთვნილია მათი კომპანიის ახალი აღმასრულებელი პირის ანა ერიკსონისთვის, ლონდონში მუშაობის დროს დასარჩენად.

გაერთიანებულ სამეფოში მდებარე შვილობილი კომპანიის მიმართ „დამკვეთის დიუ დილიჯენსის“/კომპლექსური შემოწმების ჩატარებისას ბუღალტერი არკვევს, რომ მისი მშობელი კომპანია ცენტრალური აზიის ზემოაღნიშნულ ქვეყანაში მდებარეობს და ამ ქვეყნის საინფორმაციო საშუალებებში საუბარია კომპანიის შესახებ, რომელმაც ნეპოტიზმის საშუალებით დიდი მოცულობის სახელმწიფო ხელშეკრულება მოიპოვა.

ბუღალტრები ატარებენ მოკვლევას ანა ერიკსონთან დაკავშირებით და გარკვეულ შეუსაბამოებს ამჩნევენ. მულტიკულტურული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გარდა, ბუღალტრები მუდმივად აწყდებიან საინტერესო ცნობებს, რომლებიც მითითებებს, რომ ანა ცენტრალური აზიის ზემოხსენებული ქვეყნიდანაა (და არა სკანდინავიის ქვეყნიდან, როგორც მისი გვარი მიანიშნებს). ღია საინფორმაციო წყაროების გამოკვლევის შედეგად ისინი ასევე არკვევენ, რომ იმავე სახელისა და გვარის მქონე პირი გადაღებულია ფოტოზე შოპრათ ალპერენთან ერთად. აქ ნახსენები არ არის, რომ ანას რაიმე გამოცდილება აქვს ინფრასტრუქტურის ბიზნესში, მხოლოდ მითითებულია, რომ ის შეძლებულია ადამიანების პირადი სტილისტიკა.

ასეთი საეჭვო დეტალების გათვალისწინებით და ასევე იმის გამო, რომ პოტენციური დამკვეთისგან ვერ მოიპოვა ზუსტი ინფორმაცია, ბუღალტერი თავაზიან უარს ამბობს გარიგებაზე და საეჭვო საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს ფინანსური მონიტორინგის ადგილობრივ ორგანოს. როგორც აღმოჩნდა, „ანა“ ამ მაღალჩინოსნის ახლო ნათესავია და ლონდონის ბინა გადაცემული ხელშეკრულების სანაცვლო ქრთამია.

*შენიშვნა: სახელები შეცვლილია კონფიდენციალობის დაცვის მიზნით.

დამატებითი დახმარება



ფულის გათვთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ზოგადი მითითებების გასაცნობად იხილეთ FATF-ის სახელმძღვანელო მითითებები ბუღალტერიის პროფესიის რისკზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ ხოლო ადგილობრივი დეტალური ინფორმაციის მისაღებად, მათ შორის, შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ, დაუკავშირდით ბუღალტრთა პროფესიულ ორგანიზაციას, რომლის წევრიც ხართ.



529 Fifth Avenue, New York 10017
www.ifac.org | +1 (212) 286-9344 | @ifac | company/ifac

საფრთხის ძირითადი ნიშნები

- დამკვეთი ცდილობს არასათანადო სირთულის შეტანას გარიგების სტრუქტურაში.
- მხარეების სასურველი ანონიმურობა აქტივის ბენეფიციარ მფლობელთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ნომინალური მფლობელობის შეთანხმებას იყენებს დამკვეთი.
- მყიდველი ან გამყიდველი, რომელიც პოლიტიკურად აქტიური პირია ან დაკავშირებულია პოლიტიკურად აქტიურ პირთან.
- გარიგებები, რომლებიც მოიცავს ვირტუალურ აქტივებს (მაგ., ბიტკოინი ან სხვა მსგავსი პროდუქტი) ან გადახდის სხვა უჩვეულო საშუალებებს (მაგ., ძვირფასი ლითონები ან ქვები).
- გარიგებები, სადაც ბუღალტრისთვის ცხადია, რომ ადგილი აქვს არადეკლარირ ანაზღაურებას (ფინანსური ან სხვაგვარი).
- იურისდიქცია ინფორმაციის გასაიდუმლოების მაღალი დონით.
- შესაბამის დეტალები ან დეტალები, რომლებსაც დამაჯერებლობა აკლია.

რა შემთხვევაში უნდა თქვით უარი გარიგებაზე?

- თუ არ ხართ კმაყოფილი იმით, რომ დამკვეთი კეთილსინდისიერებას იჩენს აქტივის არსებულ და საკარაუდო ბენეფიციარ მფლობელთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწოდებისას.
- თუ ქონებისა და ფულადი სახსრების მოკვლევიდან ჩანს, რომ აქტივის შესაძენად გამოყენებული ფული დანაშაულებრივი წარმოშობისა ან სხვაგვარად შეუძლებელია მისი წყაროს ახსნა.
- თუ გამყიდველი, მყიდველი ან ქვეყანა, სადაც აქტივი მდებარეობს, ფინანსურ სანქციებს ექვემდებარება თქვენი ქვეყნის მთავრობის მხრიდან.
- თუ გარიგებას უზრალოდ აზრი არა აქვს.

ანგარიშის წარდგენა საეჭვო საქმიანობის შესახებ (SAR)

თუ ეჭვი გაქვთ, რომ დამკვეთს ან პოტენციურ დამკვეთს ჩადენილი აქვს დანაშაული უკანონო შემოსავლების მიღების სახით, მაშინ თქვენ შეიძლება ვალდებული იყოთ, ფინანსური მონიტორინგის ადგილობრივ ორგანოს წარუდგინოთ ანგარიში საეჭვო საქმიანობის შესახებ. ზოგიერთ ქვეყანაში ეს პროფესიონალი ბუღალტრის სამართლებრივი ვალდებულებაა.

ინფორმაციის გამხელა

თუ თქვენ ადგენთ საეჭვო საქმიანობის შესახებ ანგარიშს ფულის საკარაუდო გათვთრებასთან დაკავშირებით, მაშინ სიფრთხილე გმართებთ, რათა ამის შესახებ არ შეიტყოს პირმა, ვის შესახებაც შეადგინეთ ანგარიში. ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (FATF) სტანდარტები მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა ასეთი „ინფორმაციის გამხელა“ კანონით აკრძალონ. შესაბამისად, ბევრ ქვეყანაში სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევა საეჭვო საქმიანობის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის გამხელა, რადგან ამან შეიძლება დააზარალოს სისხლის სამართლის გამოძიება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დებულება ყველა ქვეყანაში არ მოქმედებს, პროფესიონალი ბუღალტრების საუკეთესო პრაქტიკად მაინც მიიჩნევა, არ გაამხილონ ინფორმაცია საეჭვო საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის შესახებ.

მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ არსებობს ინფორმაციის უნებურად გამხელის რისკი დამკვეთის დიუ დილიჯენსის (CDD) ჩატარებისას. ეჭვის შემთხვევაში დაუკავშირდით თქვენს პროფესიულ ორგანიზაციას ან ფინანსური მონიტორინგის ადგილობრივ ორგანოს.



www.icaew.com
@icaew | company/icaew

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 4: აქტივების გადაცემა“ - ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC თავის თავზე არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, არც მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 4: აქტივების გადაცემა“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2021], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 4: აქტივების გადაცემა“ - ქართულენოვანი ვერსია © [2021], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: Anti-money laundering: The Basics _ Installment 4: Asset Transfers.

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: Permissions@ifac.org